

ზია წერეთელი

წალკის რაიონში არსებული ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ფსიქოლოგიური თავისებურებების საკითხისათვის

სტატია ეყრდნობა რუსთაველის ფონდის პროექტის "უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში" ფარგლებში ამ რაიონში ჩატარებული კვლევის მასალებს.

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია წალკის რაიონის მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული კლიმატის თავისებურებები, აქ მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა ურთიერთობების სპეციფიკა და მათი გავლენა სახელმწიფო ენის ათვისებაზე. კვლევა განხორციელებულია ინტერვიუს მეთოდით. კვლევამ გამოავლინა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა საზოგადოებრივი ინტეგრაციის ხელისშემსლელი ფაქტორები, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი მოსახლეობისთვის საერთო საკომუნიკაციო ენის არ არსებობა. ქართულ ენას მხოლოდ სახელმწიფო ენის ფორმალური სტატუსი აქვს, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი მხოლოდ საკუთარ ენას ფლობს. არაკეთილსაიმედო სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი კი ქართული ენის სწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერად გვევლინება.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მისი განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი პირობაა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა საზოგადოებრივი ინტეგრაცია. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესში, სხვა ფაქტორებთან ერთად, გადამწყვეტი როლი აქვს საერთო საკომუნიკაციო ენის არსებობას, რომლის ფუნქციასაც, ცხადია, სახელმწიფო ენა უნდა ასრულებდეს. ამდენად, არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის სწავლება ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მიზნის მისაღწევად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დარგის უცხოელ და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა სპეციალური პოლიტიკის დოკუმენტი, რაც, რა თქმა უნდა, მყარ პოლიტიკურ და საკანონმდებლო საფუძველს ქმნის

საქართველოს მულტიეთნიკურ რეგიონებში ქართული ენის შესწავლის სპეციალური პროგრამების რეალიზაციისთვის. სკოლისა თუ უფრო ფართო საზოგადოების დონეზე შემუშავებული სხვადასხვა პროგრამების ეფექტიანი დანერგვისთვის მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების კომპონენტების სრულყოფა, კვალიფიციურ პედაგოგების მომზადება, მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამების და სახელმძღვანელოების შემუშავება. თუმცა, პროცესის წარმატებული რეალიზაციისთვის აუცილებელია აგრეთვე მულტიეთნიკურ რეგიონებში სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული კლიმატის გათვალისწინებაც. საზოგადოების დამოკიდებულებები და განწყობები მეორე ენისადმი, მისი ათვისების მოტივაციის ხასიათი და სიძლიერე, აგრეთვე, საზოგადოებაში არსებული ინტერპერსონალური ურთიერთობები და ეთნიკური სტე-

რეოტიპები ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებენ მეორე ენის ათვისების წარმატება-წარუმატებლობაში (გასი, სელინკერი, 2001, ვუკოლოკი, 2007).

წინამდებარე კლავის მიზანს წარმოადგენს წალკის რაიონის მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურული კლიმატის შესწავლა და სახელმწიფო ენის ათვისებაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება.

წალკის რაიონი ისტორიულად საქართველოს მულტიეთნიკურ კუთხეს წარმოადგენს. აქ სახლობდნენ განსხვავებული რელიგიისა და ეთნიკური კულტურის ხალხები: ბერძნები, ქართველები, აზრებაიჯანლები და სხვ. ბოლო დროის საქართველოში განხორციელებული პოლიტიკური, ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ზეგავლენით, ეს კუთხე კიდევ უფრო მეტად დაიტვირთა მრავალეთნიკურობის თვალსაზრისით. აქ მოსახლე ბერძნების დიდმა ნაწილმა დატოვა საკუთარი მიწები და საცხოვრებლად საბერძნეთში გადავიდა. მეორე მხრივ კი, საქართველოს მთავრობამ აქ ჩამოსახლა ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი სვანები და აჭარლები. ამგვარად, ეთნიკური და კომპლექსური თვალსაზრისით ისედაც მრავალფეროვანი სურათი ეკომიგრანტების ჩამოსახლებით კიდევ უფრო ჭრელი გახდა.

ამასთან, განსხვავებული აღმოჩნდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსიც. ბერძნების უმრავლესობამ ქვეყანა კი დატოვა, მაგრამ საკუთრებაში შეინარჩუნა კარ-მიდამო და მიწები, ხოლო ახალმოსახლეთა (ეკომიგრანტთა) უმრავლესობას საკუთრებაში არც სახლი და არც მიწა არ გააჩნია.

როგორც ცნობილია, ძალაუფლების, რესურსებისა და შესაძლებლობების არათანაბარი განაწილება

შესაძლო ეთნიკური დაძაბულობის წყაროს წარმოადგენს. შესაძლო რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ენობრივი, რელიგიური და ტრადიციული კულტურის განსხვავებულობაც.

ეთნიკური დაძაბულობა ფსიქოლოგიურ დონეზე ვლინდება ეთნიკურ ჯგუფებს შორის ინტერესებისა და შეხედულებების განსვლაში, საკუთარი და სხვა ჯგუფის ურთიერთდაპირისპირებულ სტერეოტიპებში, ეთნოცენტრულ ატრიბუციასა და უარყოფით განწყობებში.

ჯგუფთაშორისი აღქმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს შიდაჯგუფური ფავორიტიზმი წარმოადგენს. იგი გულისხმობს საკუთარი ჯგუფისადმი და მისი წევრებისადმი კეთილგანწყობას და მათთვის უპირატესობის მინიჭებას სხვა ჯგუფებთან და მათ წევრებთან შედარებით (სტეფანენკო, 2004)

შიდაჯგუფური ფავორიტიზმის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ეგოცენტრიზმი. ეს არის მოვლენების ისეთი ხედვა, რომლის დროსაც საკუთარი ჯგუფი ყველაფრის ცენტრშია, სხვა ჯგუფები განიხილება საკუთარ ჯგუფთან მიმართებით და ფასდება მასზე დაყრდნობით.

თანამედროვე მკვლევრები განიხილავენ ეგოცენტრიზმს, როგორც ადამიანებისათვის დამახასიათებელ თვისებას, „აღიქვან და შეაფასონ ცხოვრებისეული მოვლენები საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ტრადიციებისა და ფასეულობების პრიზმაში, რომელიც მიჩნეულია როგორც ეტალონი ან ოპტიმუმი“ (მაიერსი, 2000, სტეფანენკო, 2004).

ბრუნერი და კემპბელი გამოყოფენ ეგოცენტრიზმის შემდეგ ძირითად მახასიათებლებს:

1. საკუთარი კულტურის ელემენტების – ნორმებისა და

ფასეულობების, როგორც ბუნებრივისა და სწორის, აღქმა, ხოლო სხვა კულტურის ელემენტებისა – როგორც არა-ბუნებრივისა და არასწორისა.

2. საკუთარი ჯგუფის ადათ-წესების უნივერსალურად მიზნება.
3. შეხედულება იმის თაობაზე, რომ ადამიანისათვის ნორმალურია საკუთარი ჯგუფის წევრთან თანამშრომლობა, მისი დახმარება, მისთვის უპირატესობის მინიჭება, მისით სიამაყე, მისი ნდობა და სხვა ჯგუფებისადმი უნდობლობა და მტრობაც კი.

აუცილებელი არ არის სამივე მახასიათებლის ერთდროული არსებობა იმისათვის, რომ ეგოცენტრიზმს ჰქონდეს ადგილი. იქ, სადაც არის მესამე მახასიათებელი, ადგილი აქვს ეგოცენტრიზმსაც.

ეგოცენტრიზმს, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოვლენას, აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ერთი მხრივ, იგი ხელს უწყობს ჯგუფის მთლიანობის იდენტობისა და სპეციფიკურობის შენარჩუნებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ხშირად ჯგუფთაშორის ურთიერთობის ბარიერად გვევლინება.

ცნობილია, რომ ეგოცენტრიზმი და მისი ნეგატიური მხარე განსაკუთრებული სიმძაფრით ვლინდება ე.წ. მცირე ერებში, ეთნიკურ უმცირესობებში ან ეთნიკურ მიგრანტებში. მოვლენას აძლიერებს სოციალური ფაქტორები, განსაკუთრებით კი სხვა ჯგუფებთან შედარებით დაბალი სოციალური სტატუსი ან კონფლიქტი.

თუმცა, ჯგუფებისა და მათი წევრების ეგოცენტრიზმი შეიძლება სხვადასხვა სიძლიერით იყოს გამოვლენილი, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც თეორიული კონტინუმი ორი უკიდურესი პოლუსით.

იგი გამოხატავს დიფერენციაციას ურთიერთმიმართებაში.

ჯგუფთაშორისი დიფერენციაციის ინდიკატორად გვევლინება პოლარული ხატები, როდესაც კონფლიქტური ჯგუფები საკუთარ თავს მიაწერენ მხოლოდ პოზიტიურ თვისებებს, ხოლო დაპირისპირებულ ჯგუფს კი – მხოლოდ უარყოფით თვისებებს. ცნობილია ე.წ. სარკისებური აღქმის ფენომენიც, როდესაც დაპირისპირებულ ჯგუფს მიეწერება საკუთარი ჯგუფისთვის მიწერილი დადებითი თვისებების საპირისპირო უარყოფითი თვისებები.

რაც უფრო შორსაა ჯგუფების მიერ გამოთქმული პოზიციები თუ შეფასებები ცენტრიდან, მით უფრო ძლიერია ჯგუფებს შორის დაპირისპირება და პირიქით, რაც უფრო ახლოსაა ჯგუფების მიერ გამოთქმული პოზიციები და შეფასებები კონტინუუმის ცენტრიდან, მით უფრო ნაკლებია ჯგუფთა შორის დაძაბულობა და, შესაბამისად, მეტად მისაღებია ერთმანეთი.

ჯგუფთაშორისი დიფერენციაციის ძირითად მექანიზმად მიჩნეულია სტერეოტიპიზაცია და ატრიბუციული პროცესები, რომელთა თანახმადაც ინდივიდის თვისებები, მისი ქცევა და მიღწევები ახსნილია ჯგუფური მიკუთვნებულობის საფუძველზე.

სოციალური სტერეოტიპები – ეს არის სოციალური ობიექტების გამარტივებული, სქემატური ხატები, რომლებიც საერთოა ჯგუფის წევრთა დიდი უმრავლესობისთვის. სტერეოტიპების ათვისება ადრეული ბავშვობიდან იწყება და ჩვეულებრივ, მათ საფუძველს წარმოადგენს არა უშუალო გამოცდილება, არამედ ე.წ. მეორადი წყაროები. სხვა სოციალურ სტერეოტიპთა შორის ადამიანებს აქვთ ეთნიკური სტერეოტიპებიც – ეთნიკური ჯგუფების გამარტივებული ხატები. ისევე, როგორც სხვა ტიპის სოციალურ სტერეოტიპებს, ეთნიკურ სტერეოტიპებსაც ახასიათებთ მისი მატარებელი

ჯგუფის წევრებს შორის მაღალი ხარისხის გავრცელებულობა (სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანხმობის მაღალი ხარისხი). ამდენად, ეთნიკური სტერეოტიპების გამოსავლენად მეტად ეფექტურია ე.წ. „თვისებათა მიწერის“ მეთოდის გამოყენება, რომელიც საკუთარი ან სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის გარკვეული თვისებების მიწერასა და მათი გავრცელების ხარისხის შეფასებაში მდგომარეობს.

მკვლევრები გამოყოფენ სტერეოტიპიზაციის სამ ძირითად ფუნქციას. ეს არის ფსიქოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სოციალური ფუნქციები. ფსიქოლოგიური ფუნქციის არსი ფსიქიკური ეკონომიზმის პრინციპში მდგომარეობს, რაც გულისხმობს მინიმალური კოგნიტური დანახარჯებით მაქსიმალური ინფორმაციის გადაქმნას სოციალური სამყაროსა და მისი მოვლენების შესახებ და მათი შინაარსის გაადვილებულ წვდომას.

სტერეოტიპების სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქცია კი ჯგუფთაშორის დიფერენციაციაში მდგომარეობს. იგი ვლინდება საკუთარი ჯგუფის სასარგებლოდ გაკეთებული შეფასებების სახით და ხელს უწყობს პოზიტიური ჯგუფური იდენტობის შენარჩუნებას. სწორედ ამიტომ, ავტოსტერეოტიპები, ჩვეულებრივ, უფრო პოზიტიურია, ვიდრე – ჰეტეროსტერეოტიპები. სტერეოტიპიზაციის სოციალურ ფუნქციას კი წარმოადგენს, ერთი მხრივ, ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობების და მათი მიზეზების ახსნა და, მეორე მხრივ, არსებული ჯგუფთაშორის ურთიერთობების გამართლება. ორივე მათგანი ემსახურება არსებული ურთიერთობების შენარჩუნებას.

ეთნიკური სტერეოტიპების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს გარკვეული შინაარსის მატარებლობასთან ერთად მათი ემოციურ-შეფასებითი ხასიათი. სხვაგვ-

ვარად რომ ვთქვათ, სტერეოტიპებში და მათ შორის – ეთნიკურ სტერეოტიპებშიც – ერთიანდება კოგნიტური და ემოციურ-შეფასებითი კომპონენტი. ემოციურ-შეფასებითი კომპონენტი დამოკიდებულების, მიმღებლობა-მიუღებლობის ხარისხს (როგორცაა სიმპათია, სიძულვილი, სიყვარული, მოწონება ან უბრალოდ – მიმღებლობა-მიუღებლობა) გამოხატავს, ხოლო კოგნიტური კი – შინაარსს. აქედან გამომდინარე, გარკვეული შინაარსის მქონე სტერეოტიპის ემოციურ-შეფასებითი კომპონენტი შესაძლებელია პოზიტიური ან ნეგატიური მუხტის მატარებელი იყოს.

ფიქსი გამოყოფს სიძულვილის სტერეოტიპს, რომელიც, ჩვეულებრივ, მიეწერება „უცხო“, „სხვა“ დაბალსტატუსიან და არაკომპეტენტურ ჯგუფებს, რომლებიც ამავედროულად ფასდება, როგორც „ცივი“ ჯგუფი. ფიქსის აზრით, საკუთარი ჯგუფის მიმართ, ჩვეულებრივ, ვლინდება „აღფრთოვანების“ სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც ამ ჯგუფს მიეწერება კომპეტენტურობა, მაღალი სტატუსი და „სითბო“. მაგრამ გარდა პოზიტიური და ნეგატიური სტერეოტიპებისა, არსებობს ასევე შურისა და პატერნალიზმის ე.წ. ამბივალენტური სტერეოტიპებიც. შური ახასიათებს ურთიერთობებს მაღალსტატუსიან, კომპეტენტურ, მაგრამ „ცივ“ ჯგუფებთან. პატერნალიზმი კი ურთიერთობებს დაბალსტატუსიან, არაკომპეტენტურ, მაგრამ „თბილ“ ჯგუფებთან.

ამგვარად, პოზიტიურად დამუხტული შეიძლება იყოს არა მხოლოდ „საკუთარი“ ჯგუფის სტერეოტიპები, არამედ იმ „სხვა“ ჯგუფებისაც, რომლებიც არ იწვევენ საფრთხის გრძნობას, იმის გამო, რომ არსებობს საკუთარი ძალით გამოწვეული უსაფრთხოების შეგრძნება. იმ ჯგუფების მიმართ კი, რომელთაგანაც საფრთხე მომდინარეობს, შესაძლებელია გამოვ-

ლინდეს ერთდროულად შური და პატივისცემა.

ეთნიკური სტერეოტიპების მეორე მნიშვნელოვან თვისებად ითვლება მდგრადობა ახალი ინფორმაციისადმი. ეთნიკური ინფორმაციის სტაბილობა დადასტურებულია არაერთი ემპირიული კვლევის საფუძველზე. დადგენილია, რომ მათი ცვლილება, ჩვეულებრივ, ნელა და თანმიმდევრობით მიმდინარეობს.

სტერეოტიპებისთვის დამახასიათებელია აგრეთვე მაღალი ხარისხის თანხმობა, ანუ „სოციალური კონსენსუსი“ – სტერეოტიპის მატარებელ ჯგუფში შეხედულებათა თანხვედრის მაღალი ხარისხი. სტერეოტიპის კიდევ ერთი თვისებაა უზუსტობა.

სტერეოტიპებზე ზეგავლენას ახდენენ რეალური ეთნიკური ურთიერთობები. ამ ურთიერთობების ხასიათი – თანამშრომლობა თუ მოქიშპეობა, დომინირება თუ დამორჩილილება, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ეთნიკური სტერეოტიპის ძირითად მახასიათებლებს: შინაარსს, მიმართულებას, კეთილგანწყობის ხარისხს და სიზუსტესაც კი.

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობებში არსებული პრობლემების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მათ არ ესმით ერთმანეთის ქცევის მიზეზები და ამიტომ აკეთებენ მცდარ შეფასებებს. მრავალრიცხოვანი კვლევების შედეგად, რომლებიც ჩატარდა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფთაშორისი ურთიერთობების დონეზე, დადგინდა, რომ „საკუთარი“ ჯგუფის პოზიტიური და „სხვა“ ჯგუფის ნეგატიური ქცევის მიზეზად მიიჩნევა შინაგანი, პიროვნული ფაქტორები. ხოლო „საკუთარი“ ჯგუფის ნეგატიური ქცევები და „სხვისი“ ჯგუფის პოზიტიური ქცევები აიხსნება გარეგანი, გარემოს ფაქტორების ზეგავლენით. ასეთი ატრიბუციები, რომელთა საშუალებებითაც აიხსნება აგრეთვე „საკუთარი“ და „სხვისი“ ჯგუფის წარმატება და წარუმატებლობა ცნობილია ეთნოცენტრული ატრიბუციების სახელით.

ამგვარად, ფსიქოლოგიაში დადგენილია (მაიერსი, 2000, სტეფანენკო, 2004, ფსიქოლოგია და კულტურა, 2003), რომ არსებობს „საკუთარი“ და „სხვა“ ჯგუფის და მისი წევრების შეფასებისას ასიმეტრია, რომელიც ვლინდება მათთვის როგორც კონკრეტული თვისებების (პიროვნული მახასიათებლების) მიწერის დონეზე, ასევე მათი პოზიტიური თუ ნეგატიური ქცევის ახსნის დონეზეც. ამასთან, რაც უფრო ძლიერია დიფერენციაცია და ეთნიკური დაპირისპირება, მით უფრო დიდია ასიმეტრია ურთიერთშეფასებისას.

წალკის რაიონში არსებული ეთნიკური ვითარების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შესაძლო დაძაბულობის იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლა, რომლებიც ცნობიერების დონეზე ვლინდება. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ესენია ეთნიკური სტერეოტიპები, ავტო და ჰეტეროსტერეოტიპები (მათი როგორც შეფასებით-ემოციური, ასევე კოგნიტიური ნაწილი) და ქცევის ატრიბუციული მექანიზმები.

ამ მიზნით ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალური ანკეტა ინტერვიუსათვის. დაგეგმილი იყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ჩატარება, რომელიც მოიცავდა ჩვენთვის საინტერესო თემებს შესაბამისი კითხვების ბლოკებით და, ამავედროულად, ითვალისწინებდა ინტერვიურების პროცესში აღმოცენებულ შესაძლო ბარიერებს ენობრივი კომპეტენციისა და განათლების დონის თვალსაზრისით.

ინტერვიუს ძირითადი თემები იყო:

1. სხვა ჯგუფების ცოდნა და ზოგადი დამოკიდებულება მათ მიმართ;
2. სოციალური დისტანციები სხვა ჯგუფებთან;
3. სტერეოტიპები საკუთარი და სხვა ჯგუფების მიმართ;
4. შეხედულებები ჯგუფებს შორის ძალაუფლებისა და

სოციალური სტატუსის გადანაწილების შესახებ.

- სხვადასხვა ჯგუფების მიერ ქართული ენის მიმართ დამოკიდებულება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რაიონში მოსახლე ჯგუფები არ იცნობენ ან თითქმის არ იცნობენ სხვა ჯგუფების წეს-ჩვეულებებს და ტრადიციებს. განსაკუთრებით ეს ეხება აჭარლებისა და სვანების ქვეჯგუფებს. ამ ქვეჯგუფების შესახებ მსჯელობენ ზედაპირული, ფორმალური ნიშნებისა ან ერთხელ ნანახი ქცევის ან მომხდარი ამბის შთაბეჭდილების ზეგავლენით.

სოციალური დისტანცია აქ ტრადიციულად მოსახლე ეთნიკურ ჯგუფებს შორის ზომიერია. სემანტიკურ დონეზე იგი ვლინდება კეთილმეზობლობაში, ზომიერ პიროვნულ ურთიერთობებში, ჭირსა და ღვინაში ურთიერთმხარდაჭერის შესაძლებლობებში.

რაც შეეხება ურთიერთობებს ე.წ. ახალ და ძველ მოსახლეებს შორის, ისინი მეტი დაძაბულობით ხასიათდება. დიდია სოციალური დისტანცია სომხებსა და აჭარლებს შორის, ასევე – სომხებსა და სვანებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სკალაზე ამ ჯგუფებს შორის სოციალური დისტანცია მაქსიმალური ქულით შეფასდა და იგი აბსოლუტურ მიუღებლობაში ვლინდება. ამ საკითხზე გამონათქვამები ასეთია: „გარდა მოსულებისა, ჩვენ ყველასთან ვურთიერთობთ, თუ ჭირი გვაქვს, ან ღვინა ან უბრალოდ საქმე...“ ეკომიგრანტები (სვანები და აჭარლები) კვლევაში მონაწილე სომხებისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდნენ. მიუღებლობა გამოვლინდა მათ მიმართ როგორც მეზობლობის, ასევე საქმიანი ურთიერთობების და, მით უმეტეს, სოფლის საქმეების გადაწყვეტაში მათი ჩართულობის დონეზე. აშკარაა, რომ მიუღებლობის საფუძველს უნდობლობა წარმოადგენს, რომელიც ამ ჯგუ-

ფებისაგან ფსიქოლოგიური, სოციალური და ფიზიკური საფრთხის განცდით არის განპირობებული. „სვანები არ მომწონს, ძალიან ცუდად იქცეოდნენ. ამბობდნენ, ეს ჩვენი მიწაა და თქვენ წადით, ჩხუბიც იყო, კაციც მოკლეს. აჭარლები თურქები არიან. ეგ რა ქართველებია, მარტო ენა აქვთ ქართული. თურქები რომ დაგვესხნენ, ეგენი პირველები უღალატებენ საქართველოს. ეგ რა ხალხია. ბერძნების სახლებში ძალით შედიან და ხატებს წვავენ, სახლიდან აგდებენ. მათთან რა საერთო გვაქვს...“ – ასე ახასიათებს ერთ-ერთი სომეხი სვანებსა და აჭარლებს.

მსგავსი სურათი გამოვლინდა ბერძნების მხრიდან აჭარლებისადმი და სვანებისადმი დამოკიდებულებაში. სვანების სტერეოტიპი უკავშირდება სიზარმაცეს, არაკეთილსინდისეობას, საფრთხეს. აი რას ამბობს ბერძენი ქალი იქ მოსახლე სვანებზე: „აქ სახლები არის და ესენი ისე შემოდინ, არც მუშაობა უნდათ, არც არაფერი. რათ მინდა ესეთი ხალხი ჩემ სოფელში?! თუ არც ქურდობა იცის, კიდევ ჰო, დავეთანხმები... კი არიან ქრისტიანები, ცოტა რომ არიან, არაფერია, მაგრამ ბევრი ერთად უკვე ცუდი გახდებიან ჩვენთვის. ისე თითო-თითოს არა უჭირს. სვანებმა იქ მოკლეს, აქ მოკლეს, ჩვენი ადგილობრივი...“. რესპონდენტი აჭარლებსაც ახასიათებს და მათ მიმართ კიდევ უფრო მეტ მიუღებლობას ავლენს: „აი, აჭარლები არ შემოუშვი, მე სკოლაში ვმუშაობდი და აბა, ეს მუსულმანები რად მინდა? მაგათ აზერბაიჯანლებივით მუსულმანური „ვერა“ აქვთ. ჩვენ უნდა თქვენი ეკლესია მეჩეთად გადავაკეთოთ, ასე თქვეს აჭარლებმაო – ბავშვებმა მითხრეს. ჩვენი სასაფლაო იმ ეკლესიის ეზოშია და აბა როგორ შეიძლება ეს!“.

რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებულ მიუღებლობაზე მეტყველებს სხვა ბერძენი რესპონდენტის სიტყვებიც: „აჭარლებმა შეურაცხვეს ჩვენი

სიწმინდეები... შევიდნენ ჩვენს სახლებში (იგულისხმება მიტოვებული სახლები) გადმოყარეს ჩვენი ხატები და „ნადრუგაღის“.

მასალიდან ჩანს, რომ სომხებისა და ბერძნების დიდი ნაწილისთვის ე.წ. ეკომიგრანტები აღიქმებიან, როგორც საფრთხის შემცველი ჯგუფები, რომლებიც მოიცავენ როგორც ფიზიკურ, ასევე მატერიალურ და რელიგიურ საფრთხესაც. თუმცა, სოციალური დისტანცია და მიუღებლობა აჭარლის მიმართ გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე – სვანის მიმართ. ამ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს ბერძენი რესპონდენტის შემდეგი სიტყვები: „ჩამოსულები რომ არიან, უნდა მორიდებული იყვნენ, მოსული უნდა იყოს წყნარი. იცოდეს, რომ ჩამოსულია. რა, მე რომ წავიდე სვანეთში, მიწას, ნაკვეთს მომცემენ?! არც იქ და არც აღსარვარში (სოფლის სახელი) არ მომცემენ. იქ მეჩეთი აიშენეს. იმ მეჩეთში ადგილობრივი აზერბაიჯანლები არ დადიან, არ შედიან და აჭარლები კი დადიან, სხვა ტიპის ხალხია ეგენი.“ სხვა ბერძენი რესპონდენტი შემდეგი სიტყვებით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას: „სვანებს და აჭარლებს მე უბრალოდ ქართულ ენაზე მოლაპარაკედ ვთვლი, თორემ ისე ეგენი არ მიმაჩნია ქართველებად, თუმცა მე მაინც სვანები უფრო მეახლოება, ერთი რწმენა გვაქვს.“

აქ მოსახლე სომხებისთვის ასევე მიუღებელია ე.წ. ეკომიგრანტების (აჭარლების და სვანების) მონაწილეობა სოფლის საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტაში და, საერთოდ, სოფლისა და რაიონის მართვაში.

საველე კვლევები ცხადყოფს, რომ საკვლევ ჯგუფებში ჩამოყალიბებულია მკვეთრად დიფერენცირებული ეთნიკური სტერეოტიპები. ამასთან, საკუთარი ჯგუფის სტერეოტიპებში უფრო მეტად კოგნიტური ნაწილი გამოდის წინა პლანზე, ხოლო სხვა ჯგუფების სტერეოტიპებში კი წამყვანია ემოციურ-

შეფასებითი ნაწილი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სვანებისა და აჭარლების ჰეტეროსტერეოტიპებში. საინტერესოა ისიც, რომ ამ ეტაპზე ყველაზე მისაღები ჯგუფი სომხებისთვის ბერძნები არიან. ეს ვლინდება მათ მიმართ მაღალი ნდობის ხარისხის გამოვლენაში როგორც უბრალო ადამიანური ურთიერთობების, ასევე ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების განცდის დონეზეც (საფრთხის მომცველი არ არის არც ეკონომიკურად და არც რელიგიურად).

განხორციელებული კვლევის მონაცემთა ანალიზმა გამოავლინა რეგიონში არსებული ჯგუფთაშორისი (სომეხი, აზერბაიჯანელი, ბერძენი, აჭარელი, სვანი) ურთიერთობების სპეციფიკა და მათი ფსიქოლოგიური საფუძვლის განმსაზღვრელი მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ რეგიონში გამოვლენილ ჯგუფთაშორის დამოკიდებულებებსა და განწყობებს მრავალმხრივი და მრავალშრიანი მოტივაციური ფაქტორები განაპირობებს.

ისევე, როგორც სხვა პოლიეთნიკურ და მულტირელიგიურ საზოგადოებაში, აქაც, ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაძაბულობის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად რელიგია წარმოჩინდება. ეთნიკურ ჯგუფთა ფსიქოლოგიურ ურთიერთმიუღებლობის ხარისხსა და სოციალურ დისტანციას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათი განსხვავებული და ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი მსოფლმხედვის სისტემები, რომლებიც ღირებულებების, ცხოვრების წესის, სტერეოტიპებისა და სოციალური ნორმების დონეზე ვლინდება და ყოველდღიურ ურთიერთობებში განხორციელებული ქცევის საფუძველზე მტკიცდება. ესენია განსხვავებული დაკრძალვის წესი, შრომის განაწილება ოჯახსა და საზოგადოებაში, შეხედულებები ქალისა და მამაკაცის როლზე და ფუნქციაზე, ქორწინების ასაკისადმი დამოკიდებულება, განსხვავებული

შესვლად უნდა გავითვალისწინოთ გოგონებისა და ბიჭების განათლებაზე და ა.შ.

ამავდროულად, ამ რეგიონში მცხოვრები ჯგუფების მოტივაციურ სისტემებში მეტად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პირველადი ე.წ. საბაზისო დონის, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მოტივები, რომლებიც გადარჩენისა და გამოკვების მოთხოვნილებებს უკავშირდება. სამწუხაროდ, მიწის სიმცირის გამო ეკომიგრაციების შედეგად გადმოსახლებულ მოსახლეობაში (აჭარლები, სვანები) ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ვერ (ან დიდი ძალისხმევით შედეგად) ხერხდება. ამდენად, ეს უკანასკნელი მათი ქცევის წამყვან მოტივატორად გვევლინება. როგორც კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, მიწის დამუშავება, და მისგან მიღებული მოსავალი თუ შემოსავალი რეგიონის მცხოვრებთა ვიტალური, სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფაქტურად ერთადერთი საშუალებაა. თუმცა, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის, განსაკუთრებით კი ეკომიგრანტი სვანებისა და აჭარლებისათვის, მიწა ნაკლებადაა ხელმისაწვდომი. ეკომიგრანტებში პირველადი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა რეგიონში საზოგადოების სოციალური ურთიერთობების სისტემის ფუნქციონირებაზე უარყოფითად აისახება და ჯგუფთაშორისი დაძაბულობის ერთ-ერთი რეალური წყაროა.

ეკომიგრანტებში დაბალია თვითშეფასების დონეც, რომელსაც სოციალური უსამართლობისა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებით არათანასწორუფლებიანობის განცდა განაპირობებს.

რეგიონში მცხოვრებ ჯგუფთაშორის სოციალურ დისტანციას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ყველა ჯგუფისთვის საერთო საკომუნიკაციო ენის ფაქტობრივი არარსებობაც.

გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მხოლოდ საკუთარ ენას ფლობს და, ამდენად, მათ შორის კომუნიკაცია მეტად გაძნელებულია. თუმცა ქართული ენა სახელმწიფო ენაა, მაგრამ ამ რეგიონში მას მხოლოდ ფორმალური სტატუსი აქვს და იგი ვერ ასრულებს საერთო საკომუნიკაციო ენის ფუნქციას. ზემოთ აღწერილი ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით, ქართული ენის ათვისების არაფორმალური, ბუნებრივი გარემოს გამოყენება ვერ ხერხდება. თუმცა არაქართულენოვანი ბავშვები და მოზარდები სწავლობენ ქართულს, როგორც მეორე ენას სკოლაში, მაგრამ მისი რეალიზაციის გარემოს არარსებობის გამო, მათი ცოდნა მეტად მწირი და ფორმალურია. ამგვარად, წალკის რაიონში არსებული სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი სახელმწიფო ენის ათვისების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერად გვევლინება.

როგორც ცნობილია (ჰეკჰაუზენი, 1986, ეგენი, კაუზაკი, 2007), ადამიანის ნორმალური ფსიქოლოგიური ფუნქციონირებისა და თვითრეალიზაციისათვის აუცილებელია მისთვის დამახასიათებელ მოტივთა იერარქიული სისტემის თანმიმდევრული რეალიზება. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებები და ემპირიული მონაცემები მნიშვნელოვან მოტივთა თვისობრიობის შესახებ, მაგრამ უდავოა, რომ მოტივთა იერარქიაში პირველადი და საბაზისო ვიტალური მოთხოვნილებები, ხოლო მეორეადია სოციალური, პიროვნების ინდივიდუალურ სოციალურ გამოვლენასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნილებები. გამოკვლევის მონაცემების ანალიზის შედეგად კი ირკვევა, რომ საკვლევი რეგიონის მოსახლეობაში (განსაკუთრებით კი ეკომიგრანტებში) ვერ ხერხდება როგორც ქვედა, საბაზისო, ასევე საშუალო და შედარებით მაღალი დონის მოტივთა ამოქმედება. ამდენად მოტივაციური სისტემის რეალიზება ვერ

ხერხდება იერარქიის თითქმის ვერცერთ დონეზე. არარეალიზებული მოტივაციური სისტემების ზეგავლენა აისახება ჯგუფთაშორის ურთიერთობაზე და ქცევის დონეზე ვლინდება ისეთ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებში, როგორცაა სოციალური დისტანცირება, ფსიქოლოგიურ დონეზე ურთიერთმიმდებლობისა და ტოლერანტობის დაბალი დონე და უარყოფითი ვალენტობის განწყობები.

ამგვარად, რეგიონში არსებული მოსახლეობის ჯგუფთაშორისი ურთიერთობები მეტად სპეციფიკურია. ისინი განპირობებულია მრავალშრიანი ფსიქოლოგიური მექანიზმით, რომელშიც

რესურსებისა და ძალაუფლების არათანაბარი განაწილებით, აღმსარებლობით, ეთნიკურობით და საკომუნიკაციო ენის უქნლობით განპირობებული სოციალური დისტანციებისა და უარყოფითი ვალენტობის განწყობების ფონზე წამყვანია სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისკენ სწრაფვა და მისი დაკმაყოფილების გართულებული შესაძლებლობებით გამოწვეული უარყოფითი განცდები.

ამგვარი ფსიქოლოგიური კლიმატი, ცხადია, ხელს უშლის რეგიონის საზოგადოების ინტეგრაციას და აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

literatura

- გასი, სელინკერი, 2001 – S.M. Gass, L. Selinker, *Second Language Acquisition*, "LEA", 2000, New Jersey, London, 2001, 329-270
- ეგენი, კაუჩაკი, 2007 – P. Eggen, D Kauchak, *Educational Psychology*, "Pearson", 2007, 296-333
- ვუკფოლკი, 2007 – A. Woolfolk, *Educational Psychology*, "Pearson", 2007, 161-188
- მაიერსი, 2000 - Д. Майерс, *Социальная Психология*, "Питер", 2000, 247-253
- სტეფანენკო, 2004 - Г.Т. Стефаненко, *Этнопсихология*, "Аспект Пресс", М., 2004, 272-305
- ფსიქოლოგია და კულტურა, 2003 - *Психология и Культура*, под ред. Д. Мацумото, "Питер", 2003, 575-656
- ჰეკჰაუზენი, 1986 - Хайнц Хекхаузен, *Мотивация и Деятельность*, т 1, "Педагогика", М., 1986, 112-116

Mzia Tsereteli

Psychological characteristics of ethnic group relations in Tsalka region
The article is based on the materials of the research conducted in this region
by Rustaveli Foundation
(project "ethnic security aspects in polytechnic society")

ABSTRACT

The presented article describes psycho-social and cultural climate characteristics of the population of Tsalka region, as well as ethnic group relation specifics and their influence on the official language acquisition. Research is conducted by the interview method. The results revealed some main factors that interfere with the process of social integration of ethnic groups. One of the most important among those factors is the absence of common communicative language: Georgian language is the official language only formally, since the considerable amount of inhabitants speaks only their mother tongue. The given psycho-social climate is an obstacle for learning Georgian language.